თამარ აბაკელია

მხატვარი და მოქანდაკე თამარ აბაკელია დაიბადა ხონში იურიდიულ დაწესებულების თანამშრომლისა და თეატრალური მოღვაწის ოჯახში. საშუალო განათლება მიიღო ბათუმის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში, რომელიც 1923 წელს დაამთავრა. ხატვა-ძერწვისადმი მისწრაფება და ნიჭი მოწაფეობის დროს აღმოაჩნდა, ამიტომ სპეციალურ განათლენის მისაღებად თბილისის სამხატვრო აკადემიაში მოქანდაკეობისა და გრაფიკის კლასში ჩაირიცხა, რომელიც 1930 წელს დაამთავრა. ჯერ კიდევ სტუდენტობისას 1927 წელს, როგორც ნიჭიერმა მხატვარმა და მოქანდაკემ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. სისტემატურად იღებდა მონაწილეობას საქართველოს სხვადასხვა გამოფენებში. მოგვიანებით დაიწყო მუშაობა სათეატრო და კინოდადგმათა დეკორაციულ გაფორმებებზე. თეატრსა და კინოში გაფორმებული აქვს 30-მდე დადგმა და კინოფილმი. მათ შორის: კ. მარჯანიშვილის სახ. სახელმწიფო თეატრში ვაჟა-ფშაველას "მოკვეთილი", კ. კალაძის "ლალი", ი. ვაკელის "შამილი". რუსთაველის სახ. სახელმწიფო თეატრში ალ. შანშიაშვილის "არსენა", "ხევისბერი გოჩა", ბათუმის სახ. თეატრში ა. კეკელიძის "ხატიჯე", თბილიბის ოპერისა და ბალეტის თეატრში შ. თაქთაქიშვილის ბალეტი "მალთაყვა", ბიზეს ოპერა "კარმენი". კინოფილმები: "არსენა", "გიორგი სააკაძე" (ორვე სერია), "დავით გურამიშვილი" და სხვა.

1943 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. დაჯილდოებულია "შრომის წითელი დროშის" ორდენით – 1946 წელს. მედლებით: "კავკასიის დაცვისთვის" – 1945 წელს და "მამაცური შრომისთვის დიდ სამამულო ომში 1941 – 1945 წწ" – 1946 წელს.

გარდაიცვალა 1953 წლის 14 მაისს თბილისში. დაკრძალულია დიდუბის ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

გამოყენებული ლიტერატურა: ს. გერსამიას – "თამარ აბაკელიას ბიოგრაფია".

თამარ აბაკელიას პირადი საარქივო ფონდი
ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. თამარ აბაკელიას კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1938 წ. 7 ოქტომბერი. თბილისი. ბლანკი. ხელით შევსებული. ნაბეჭდი. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

2. თამარ აბაკელიას კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1939 წ. 25 იანვარი. თბილისი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

3. თამარ აბაკელიას მოკლე ავტობიოგრაფია.
1940 წ. 25 აპრილი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

4. თამარ აბაკელიას კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1940 წ. 14 მაისი. თბილისი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

5. თამარ აბაკელიას ავტობიოგრაფია.
1946 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

6. თამარ აბაკელიას ავტობიოგრაფია.
1946 წ. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

7. თამარ აბაკელიას კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
1947 წ. 14 თებერვალი. თბილისი. ბლანკი. ხელით შევსებული. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

8. თამარ აბაკელიას ავტობიოგრაფია.
1947 წ. ავტოგრაფი. შავი მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

9. კულტუსის სამინისტროსა და ქართველ მოღვაწეთა მოხსენებები
ქალაქ სურამში თამარ აბაკელიას მიერ შექმნილ ლესია უკრაინკას ძეგლის შესახებ.
1954 წ. თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 38 გვ. (წიგნის სახით).

10. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მიერ გაცემული თამარ აბაკელიას დახასიათება.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

11. აკაკი ვასაძის დადებითი გამოხმაურება თამარ აბაკელიას ნამუშევრებთან დაკავშირებით.
უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

12. უჩა ჯაფარიძის დადებითი გამოხმაურება თამარ აბაკელიას ნამუშევრებთან დაკავშირებით.
უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

მოსაწვევი ბარათი

13. საქ. სურათების სახელმწიფო გალერეაში გამართული თამარ აბაკელიას ნამუშევართა გამოფენისა და ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს მოსაწვევი ბარათი.
1954 წ. 5 ივლისი. სტამბური. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც. (2 ეგზ.)